ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№20

ქ. რუსთავი 04.10.2016 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი (მის: ქ.გარდაბანი-აღმაშენებლის ქ#80 ს/კ226576130) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა გოგოლაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" ('სიჯისი'), მისი გენერალური დირექტორის ნანა შარაშენიძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის, საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტრმბრის №1805 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით წაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე". „კვირა", „თვე"-კალენდარულიდღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი"- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შესყიდვის ობიექტი და ტექნიკური პირობები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართი №--1------.

2.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შემსყიდველი ინტერნეტ-სერვისით, პაკეტი/ები **„ოპტიკური პრემიუმი"**.

2.3 მიმწოდებელმა მის საკუთრებაში არსებული ტექნიკური მატერიალური საშუალებით უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მიწოდებულ ობიექტებზე ინტერნეტის მიწოდება.

2.4 კლასიფიკატორის CPV კოდი: **72400000**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, 3 (სამი) თვის საბონენტო გადასახადი, შეადგენს 147 (ასორმოცდაშვიდ) ლარს.

- სერვისისთვის გამოყენებულია ტელეფონის ნომერი ან უნიკალური კოდი/ები: 70 11 55
- მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ერთი კვირის ვადაში.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში, გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული ვალდებულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 4.2 პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

4.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

4.5 დამკვეთი თანახმაა, მომსახურების გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, გაეთიშოს სერვისი და ტელეფონი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამასთანავე, წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად გამოყენებული იქნება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება სატელეფონო მომსახურებაზე. სერვისის მიწოდება აღდგება მხოლოდ დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ

4.6 შემსრულებელი იტოვებს უფლებას, შეაჩეროს მომსახურების - მიწოდება, თუ დამკვეთი არ იხდის ყოველთვიურად დადგენილ გადასახადს და აღნიშნულის შესახებ ატყობინებს დამკვეთს

4.7 შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების ღირებულება, თუ ამის მიზეზი გახდა სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება და აღნიშნულის შესახებ წინასწარ გამოაცხადოს მისთვის ხელმისაწვდომი გზით. კორპორაცია იტოვებს უფლებას შეცვალოს ზემოთ აღნიშნული გადასახადები/ტარიფები, რომლებიც გამოწვეული იქნება თვითღირებულების ცვლილებისა ან/და იმ კომპანიების მიერ ახალი ტარიფების დაწესების გამო, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება მომსახურება. აღნიშნული ცვლილებების შესახებ აბონენტი გაფრთხილებულ იქნება ავტომოპასუხის/მესიჯის საშუალებით ან შემსრულებლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების გზით. თუ აბონენტი ამგვარი ინფორმაციის მოწოდებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს ხელშეკრულების ახალ პირობებზე, (გააგრძელებს მომსახურების მიღებას), მას ხელშეკრულება გაუგრძელდება ახალი პირობებით და სავალდებულოა შესასრულებლად ორივე მხარისთვის. თუ აბონენტი არ არის თანახმა ხელშეკრულების ახალ პირობებზე, იგი ვალდებულია წერილობით მოგვმართოს მომსახურების გაუქმების შესახებ

4.8 ამ პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, შემსრულებელი უფლებამოსილია ლარის კურსის 10%-ზე მეტით ცვლილების შემთხვევაში შეცვალოს მომსახურების ღირებულება და ამის შესახებ წინასწარ გამოაცხადოს მისთვის ხელმისაწვდომი გზით. სიჯისის მიზეზით მომსახურების მიუწოდებლობის შემთხვევაში, გადაანგარიშება მოხდება ფაქტიურად გაწეული ხარისხიანი მომსახურების ვადების მიხედვით.

5. მიღება-ჩაბარებისწესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური.

5.3 მიმწოდებელი და ხელშეკრულების შესრულებაზე მიმწოდებლის მხრიდან ინსპექტირების გაწევაზე უფლებამოსილი - პირი პასუხისმგებლები არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურში წარდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და სისწორეზე.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2016 წლის 5 ოქტომბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1„შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის გადაუხადოს „მიმწოდებელს" შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

7.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) სათანადო ნორმების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულება.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" ვალდებულების შესრულებისას

მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

7.3 შემსრულებელი უფლებამოსილია შეაჩეროს ან შეწყვიტოს მომსახურების მიწოდება თუ:

- მომსახურების მიწოდება შეუძლებელია ფორსმაჟორული გარემოებების გამო, მათ შორის, შემსრულებლის პარტნიორების მიერ შემსრულებლისათვის ინტერნეტ-მომსახურების (ინფორმაციის მიწოდების) შეწყვეტის შემთხვევაში;
- დამკვეთი არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, მათ შორის, დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს;
- დამკვეთი იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს სატელეკომუნიკაციო საშუალებები არაკანონიერი მიზნებისათვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს მომსახურება.

7.4. შემსრულებელი პასუხს არ აგებს იმ ზარალისათვის, რაც დამკვეთს შეიძლება მიადგეს დამკვეთის კომპიუტერში მესამე პირის მიერ უსანქციო ან დამკვეთის მიერ სანქცირებული შეღწევის შედეგად, ვინაიდან შემსრულებლის მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემებისა და ინფორმაციის გატარების (მიწოდების) უზრუნველყოფით და თავად დამკვეთია პასუხისმგებელი მისი კუთვნილი სისტემების დაცვაზე მესამე პირების მიერ ხელყოფისაგან. შემსრულებელი ვალდებულია მიიღოს მის ხელთ არსებული ყველა ზომა მომხმარებლის დასაცავად, მომსახურებით გამოწვეული შესაძლო რისკისგან.

7.5. შემსრულებელი უწევს დამკვეთს მომსახურებას გარდა იმ პერიოდებისა, როცა წარმოებს პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოები, რაც იგეგმება შემსრულებლის მიერ ისე, რომ მინიმალური უხერხულობა შეექმნას დამკვეთს.

7.6. შემსრულებელი არ იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების შედეგად მიღებული პროგრამული უზრუნველყოფა ან სხვა მასალები თავისუფალი იქნება ვირუსებისგან.

7.7 დანაკარგებზე, რომელიც გამოიწვია მომსახურების გამოყენებისას დამკვეთის მიერ მიღებულმა ინფორმაციამ, სერვისმა ან პროდუქციამ.

7.8 დაზიანების აღმოფხვრა მოხდება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტის მე-18 და 18 პრიმა მუხლებით დადგენილ ვადებში.

აბონენტთა პრეტენზია მიიღება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. აბონენტს განემარტება საჩივრის წარდგენისა და განხილვის წესი. პრეტენზია განიხილება 5 სამუშაო დღის ვადაში. აბონენტის მოთხოვნის შესაბამისად, პასუხის გაცემა ხდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით.

8. ინსპექტირების პირობები

8.1 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.2 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების აწაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს აწაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.7 ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეები განახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას და დამკვეთი დაუბრუნებს შემსრულებელს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ მოწყობილობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და

შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის - შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი მის: ქ. გარდაბანი აღმაშენებლის ქ#80 საიდ. კოდი: № 226576130 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა. მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში. ბანკის კოდი: TRESGE22	შ.პ.ს. "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" (სი-ჯი-სი) მის.: ქ.რუსთავი, მეგობრობის გამზირი #2. საიდენტიფიკაციო კოდი: 204876081 სს "თიბისი ბანკის" ქვემო ქართლის ფილიალი ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE41TB0200000360867289 სს"ლიბერთი ბანკის" რუსთავის ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE25LB0113165619221000

ცენტრის დირექტორი

/მარინა გოგოლაძე/

"სიჯისის" წარმომადგენელი: